საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- --მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №161/17

-- -- და -- -- (მხარეები) 2017 წლის 13 სექტემბრის №- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №161/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორების განცხადებით, -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელე -- -- სარჩელი და ბათილად ცნო მოპასუხეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები. მოსამართლემ სათანადოდ ვერ შეაფასა საქმის მასალები და მიიღო აბსოლუტურად უკანონო

გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორები თვლიან, რომ სახეზეა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 30 იანვარს -- -- სარჩელის აღძვრამდე სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა, სადავო უძრავ ნივთზე ყადაღის დადება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2015 წლის 02 თებერვალს მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის აღძვრამდე სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე.

-- -- სარჩელი სასამართლოში წარმოადგინა 2015 წლის 13 თებერვალს. 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რადგან სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ჩამოყალიბებული ცხადად. იმავე განჩინებით გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 02 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

2015 წლის 20 თებერვალს -- -- განმეორებითი სარჩელით ისევ მიმართა სასამართლოს და იმავდროულად, მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სადავო ქონებაზე ყადაღის დადება. 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადების შესახებ.

მოპასუხე -- -- შესაგებელი სასამართლოს წარუდგინა 2015 წლის 04 მარტს, რომელშიც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 06 მარტს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოითხოვა, განცხადებაზე დართული მორიგების აქტის დამტკიცება. მორიგების აქტის თანახმად, მხარეები კისრულობდნენ ვალდებულებას, 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით შეესრულებინათ მორიგების აქტში გათვალისწინებული ვალდებულებები.

2015 წლის 16 მარტს -- -- კიდევ ერთი განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, გაუქმებულიყო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება და სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიება. მოსარჩელე ასევე ითხოვდა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში მომხდარიყო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, რადგან მან იცოდა, რომ მორიგების აქტის დამტკიცებას სასამართლო 2015 წლის 30 მარტამდე ვერ შეძლებდა. 2015 წლის 20 მარტის

განჩინებით მოსარჩელის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაუქმებულ იქნა 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

მხარეთა მიერ მორიგების პირობების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩელემ 2015 წლის 23 აპრილს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით ისევ მიმართა სასამართლოს და ისევ მოითხოვა სადავო ქონებაზე ყადაღის დადება. 2015 წლის 24 აპრილის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2015 წლის 02 ივლისს. 2015 წლის 24 აპრილის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2015 წლის 22 ივნისს -- -- სარჩელის გამოხმობის თაობაზე განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და იშუამდგომლა სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე.

2015 წლის 29 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული.

2016 წლის 10 თებერვალს -- -- სასარჩელო მოთხოვნით ისევ მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა, გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სესხისა და იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების დადებულად ცნობა და სადავო ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენა. საქმე განსახილველად ისევ მოსამართლე -- -- გადაეცა.

2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები და აღდგა -- -- საკუთრების უფლება სადავო ნივთზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება 2017 წლის 18 აგვისტოს სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა (საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში ამ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არ დასრულებულა).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დავადგინოთ, კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლე -- -- მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში

კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} - მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის თანახმად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“

იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში.

ამდენად, მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 14 წევრიდან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №161/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი